ქონების დაზღვევის ხელშეკრულება / პირობები

№ ICG_VTB_PROPERTY_V1

1. **ტერმინთა განმარტება:**

1.1. **„მზღვეველი"** – შპს სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფი", რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ეწევა სადაზღვევო საქმიანობას (დაზღვევის (არა სიცოცხლის) ლიცენზია №001/2);

1.2. **„დამზღვევი"** – იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც სადაზღვევო პოლისითა და განაცხადით განსაზღვრულ ქონებას აზღვევს მზღვეველთან და იხდის შესაბამის სადაზღვევო პრემიას. თუ სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დამზღვევი იმავდროულად არის დაზღვეული;

1.3. **„დაზღვეული"** – პირი, რომლის ქონების მიმართაც ხორციელდება დაზღვევა (ქონების მესაკუთრე ან/და კანონიერი მფლობელი) და რომელიც უფლებამოსილია, წინამდებარე ხელშეკრულება/პირობების საფუძველზე მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;

1.4. **„მოსარგებლე"** – იურიდული ან ფიზიკური პირი, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულება/პირობების თანახმად იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას;

1.5. **„დაზღვევის ობიექტი"** – დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს სადაზღვევო პოლისში ან/და მის დანართში მითითებული, დამზღვევის/დაზღვეულის კანონიერ საკუთრებაში (მფლობელობა, სარგებლობა) არსებული ქონების ან/და მის ცალკეულ ნაწილთან დაკავშირებული დაზღვეულის ქონებრივი ინტერესები, რომელიც დაკავშირებულია ამ ქონების ფლობასთან, გამოყენებასა და განკარგვასთან;

1.6. **„სადაზღვევო პოლისი"** – მზღვეველის მიერ გაცემული მოწმობა წინამდებარე ხელშეკრულება/პირობების შესახებ;

1.7. **„სადაზღვევო თანხა"** – სადაზღვევო პოლისში მითითებული, მხარეთა შეთანხმებით დადგენილი თანხის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც დადგენილია მოსარგებლისათვის სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა და რომელიც არ უნდა აღემატებოდეს დაზღვევის ობიექტის რეალურ საბაზრო ღირებულებას;

1.8. „**სადაზღვევო შემთხვევა**" – წინამდებარე ხელშეკრულებით/პირობებით და/ან მის საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო რისკის დადგომით გამოწვეული ზიანი, რომელიც წარმოშობს მზღვეველის ვალდებულებას, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება.

1.9. „**სადაზღვევო რისკი**" – მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა;

1.10. „**რეალური საბაზრო ღირებულება**" – დაზღვევის ობიექტის რეალური ღირებულება, რომელიც მითითებულია განაცხადში;

1.11. „**სადაზღვევო ანაზღაურება**" – ანაზღაურება, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მზღვეველის მიერ გაიცემა დამზღვევზე;

1.12. „**მიყენებული ზიანი, ზარალი** " – მატერიალური ზარალი, რომელიც მიადგა დამზღვევს (დაზღვეული/მოსარგებლე) სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად;

1.13. „**სადაზღვევო პრემია**" – სადაზღვევო პოლისში მითითებული დამზღვევის მიერ ერთჯერადად ან მზღვეველთან შეთანხმებული გრაფიკით ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით გადასახდელი დაზღვევის საფასური სადაზღვევო დაფარვის უზრუნველყოფისათვის;

1.14. **„არსებითი გარემოება**" – დამზღვევისთვის წინასწარ ან/და შემდგომ ცნობილი გარემოებანი (ან/და ისეთი გარემოებანი, რომელთა შესახებ მას უნდა სცოდნოდა), რომელიც შეეხება მზღვეველის მიერ დაზღვევის ობიექტის, რისკის, შემთხვევის, საფრთხის შეფასებას, ან/და სხვა გარემოებები, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ მზღვეველის გადაწყვეტილებაზე, უარი თქვას თავის ვალდებულებებზე ან/და მოითხოვოს სადაზღვევო პრემიის გაზრდა ან დამატებითი

პირობების დაწესება, ან/და გარემოებანი, რომელთა შესახებაც მზღვეველი წერილობით შეეკითხება დამზღვევს;

1.15. **„რეგრესის წესი"** – დამზღვევისთვის (დაზღვეული, მოსარგებლე) სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდგომ მზღვეველის უფლება დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნები სადაზღვევო შემთხვევის დადგომაში ბრალეული მხარისაგან;

1.16. **„სადაზღვევო პერიოდი"** – სადაზღვევო პოლისში მითითებული დაზღვევის მოქმედების ვადა;

1.17. **„საინფორმაციო უზრუნველყოფა"** – კონტრაგენტისათვის შეტყობინების, დოკუმენტაციის ან/და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული სხვა სახის ინფორმაციის მიწოდება;

1.18. **„ფრანშიზა"** – სადაზღვევო პოლისში მითითებული არანაზღაურებადი მინიმუმი, პროცენტულად ან ფიქსირებული თანხით განსაზღვრული დაზღვეული ქონებისადმი მიყენებული ზიანის ოდენობა, რომელსაც არ აანაზღაურებს მზღვეველი. ფრანშიზა გამოიქვითება ყოველი ანაზღაურების გაცემისას და ვრცელდება ყოველ რისკზე სადაზღვევო პოლისში მითითებული ერთი და იმავე ან განსხვავებული ოდენობით. ფრანშიზა შესაძლებელია იყოს პირობითი ან უპირობო, თუკი სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, იგულისხმება, რომ ფრანშიზა არის უპირობო;

1.19. **„ქურდობა"** – ქონების ფარული დაუფლება, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით (სსკ 177-ე მუხლი);

1.20. **„ძარცვა"** – ქონების მართლსაწინააღმდეგო აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით (სსკ 178-ე მუხლი);

1.21. **„ყაჩაღობა"** – თავდასხმა, ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით;

1.22. **„მიმდინარე სადაზღვევო ლიმიტი"** – პირველადი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოქმედებს სადაზღვევო პოლისში მითითებული მაქსიმალური სადაზღვევო ლიმიტი (სადაზღვევო თანხა). დაზღვევის პერიოდში ყოველი შემდგომი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიმდინარე სადაზღვევო ლიმიტი უდრის წინა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოქმედი ლიმიტის ნაწილს, რომელიც დარჩება ამ უკანასკნელით გამოწვეული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ;

1.23. **"დაზღვევი განაცხადი-ანკეტა"** – მზღვეველის მიერ შემუშავებული განაცხადის ფორმა, დამზღვევის მიერ შესავსები კითხვარი, რომელშიც აისახება დაზღვევის განხორციელებისათვის აუცილებელი მონაცემები;

1.24. **"პროპორციული ანაზღაურება"** - დაზღვევა, როდესაც მზღვეველი ანაზღაურებს ზიანის ნაწილს იმ პროპორციით, რა პროპორციაც არსებობდა დაზღვევის მომენტისათვის სადაზღვევო თანხასა და დასაზღვევი ქონების საბაზრო ღირებულებას შორის;

1.25. **"დაზღვევის შესახებ ხელშეკრულება"** – შემდეგი დოკუმენტების ერთობლიობა: წინამდებარე ხელშეკრულება/პირობები, დამზღვევის მიერ შევსებული განაცხადი-ანკეტა, დამზღვევის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, სადაზღვევო პოლისი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია მზღვეველის მიერ დამზღვევის/დაზღვეულის კანონიერ საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ქონების დაზღვევა და შესაბამისი სადაზღვევო მომსახურებით უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

2.2. წინამდებარე ხელშეკრულებით, დაზღვეულად ითვლება დამზღვევის მიერ შევსებულ განაცხადში მითითებული ქონება, მზღვეველის მიერ გაცემული სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული რისკებისაგან.

2.2.1. წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულება/პირობები ფორმდება მხოლოდ იმ პირის სასარგებლოდ, რომელსაც კანონის, სხვა სამართლებრივი აქტის ან ხელშეკრულების საფუძველზე გააჩნია დაზღვეული ქონების შენარჩუნების ინტერესი (მესაკუთრე, კანონიერი მფლობელი, მოიჯარე, მოქირავნე და/ან სხვა). წინააღმდეგ შემთხვევაში დაზღვევის ხელშეკრულება ჩაითვლება ბათილად.

3. დაზღვევის ობიექტი

3.1. დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს დამზღვევის ქონებრივი ინტერესები, რომლებიც დაკავშირებულია ქონების ფლობასთან, გამოყენებასა და განკარგვასთან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამიად;

3.2. წინამდებარე ხელშეკრულება/პირობების საფუძველზე დასაზღვევად მიიღება დამზღვევის ან დაზღვეულის ქონება: შენობა-ნაგებობები, შიდა მოპირკეთება, ტექნოლოგიური და საწარმოო მოწყობილობა, ინვენტარი, გამოთვლითი ტექნიკა, ელექტრონული ხელსაწყოები, ორგტექნიკა, აუდიო-ვიდეო აპარატურა, რადიოტექნიკა, სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები – წინამდებარე ხელშეკრულება/პირობების დანართის შესაბამისად;

3.3. დასაზღვევად არ მიიღება: დოკუმენტები, საბუღალტრო და სხვა სახის საქმის წარმოების წიგნები, ხელნაწერები, ნახაზები, ნიმუშები, მოდელები, მაკეტები, ანტიკვარიატი, ხელოვნების ნაწარმოებები, სავაჭრო ავტომატები, ბანკომატები, ფულის გადამცვლელი ავტომატები და მათი შიგთავსი, ძვირფასი ლითონები და მათი ნაწარმი, ძვირფასი ქვები, ბეწვეული და მისი ნაწარმი, ფასიანი ქაღალდები, ობლიგაციები, ნაღდი ფული, კომპიუტერსა და სხვა სახის ანალოგიურ სისტემებში არსებული ტექნიკური საინფორმაციო საშუალებები (მაგნიტური ბლოკი, მაგნიტური ლენტა, საინფორმაციო ბლოკი და სხვ.) და ინფორმაციის სხვა მატარებლები, ფეთქებადი და აალებადი საგნები, ცეცხლსაასროლი იარაღი, შახტები, ავტოსატრანსპორტო საშუალებები, ნარგავები და ცხოველები, თუ სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული);

3.4. დასაზღვევად მისაღები ქონების ნუსხა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით და მითითებული იქნება განაცხადში და/ან პოლისის საგანგებო დანართში.

4. რისკების ჩამონათვალი, სადაზღვევო თანხა და დაზღვევის განხორციელების წესი

4.1. სადაზღვევო პოლისით შესაძლოა განისაზღვროს შემდეგი სადაზღვევო რისკები:

- **"ხანძარი"** – ღია ცეცხლი, რომელიც მოყვება წვას და რომელიც ვრცელდება მას შემდეგ, რაც იგი გაჩნდა ცეცხლისთვის განკუთვნილი ადგილიდან განსხვავებულ ადგილას ან თვითნებურად გასცდა ამგვარ ადგილს;
- **"მეხის დაცემა"** – მეხი, რომელიც ეცემა უშუალოდ დაზღვეულ ობიექტს;
- **"აფეთქება"** – აირის ან ორთქლის წნევის ძალის უეცარი და დამანგრეველი გამოვლინება, არამდგრადი სისტემის სწრაფი ქიმიური რეაქცია;
- **"თვითმფრინავის ან სხვა საჰაერო ტრანსპორტის** ან მათი ნაწილების ჩამოვარდნა, ან ამ უკანასკნელებიდან ნივთების გადმოვარდნა";
- **"სტიქიური უბედურება"** – ზარალის წარმოშობა გარე ბუნებრივი ძალების მექანიკური ზემოქმედების შედეგად (ქარიშხალი (ქარის სიჩქარე აღემატება 20 მ/წმ), გრიგალი, ქარბორბალა, შტორმი, სეტყვა, ქვისცვენა, მეწყერი, გრუნტის დაწევა, ყინვის მოქმედება, უხვთოვლიანობა, წყალდიდობა, თავსხმა, მდინარეების ადიდება, მიწისძვრა);
- **"წყლით დაზიანება"** – ზარალის წარმოშობა წყალსადენების, გასათბობი, ხანძარსაწინააღმდეგო, საკანალიზაციო სისტემების მწყობრიდან გამოსვლის შედეგად; წყლის შემოჭრისას მეზობელი სადგომებიდან, მიწისქვეშა წყლების გამოსვლისას წყალდიდობის, თავსხმის, მდინარეების ადიდების შედეგად;
- **"მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება"** – ქურდობა ან ქურდობის მცდელობა, დაზღვევით იფარება მხოლოდ დაზღვეულ შენობაში შემდეგი სახის მართლსაწინააღმდეგო შესვლის ან გამოსვლის შემთხვევები: ჩაკეტილ შენობაში ან ჩაკეტილ საცავში ან დაზღვეულ ობიექტზე შეღწევა დაზღვეული ტერიტორიის ფარგლებში, ასევე ხვრელიდან, რომელიც ჩვეულებრივ არ არის განკუთვნილი ადამიანის შესასვლელად (მაგალითად სავენტილაციო ხვრელი), ხვრელის გაკეთებია ტიხარში, კედლებში, სახურავში და ა.შ. ასევე კარებების, ფანჯრების, ჟალუზების და ა.შ. გატეხვა დაზღვეულ ტერიტორიაზე შეღწევის მიზნით; ყალბი გასაღებებით ან სხვა ტექნიკური საშუალებებით ძალისმიერი შეღწევა, ყალბ გასაღებად არ ჩაითვლება გასაღები რომელიც დამზღვევის/დაზვეულის/კანონერი მფლობელის ან სხვა პირის მიერ მათი დავალებით არის დამზადებული). ძარცვა-ყაჩაღობა გულისხმობს: ქონების ისეთ მიტაცებას, რომელიც ხდება ღიად დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის მიმართ ძალის გამოყენებით, რომელიც არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ან დაკავშირებულია ამგვარი ძალის გამოყენების მუქარასთან დაზღვეული ტერიტორიის ფარგლებში ან ძალის გამოყენებით, რომელიც საფრთხეს უქმნის დამზღვევის/დაზღვეულის/მოსაგებლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ან დაკავშირებულია ამგვარი ძალის გამოყენების მუქარასთან დაზღვეული ტერიტორიის ფარგლებში. ასევე მესამე პირთა სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებები, რაც გულისხმობს: დაზღვეული ქონების დაზიანებას ან განადგურებას, ამასთან ანაზღაურებას არ ექვემდებარება ზარალი, რომელიც გამოწვეულია დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის ან მათი უფლებამოსილ პირთა ქმედებით.
- **"ავტოტრანსპორტისა და მათი ნაწილების შეჯახება"**-ავტომოტოტრანსპორტისა და მათი ნაწილების პირდაპირი მექანიკური ზემოქმედება

- **"ვიტრინების დაზიანება"** - ვიტრინების პირდაპირი დაზიანება ზემოთ ჩამოთვლილი ყველა რისკისგან.

4.2. დამზღვევის სურვილით ქონება შეიძლება დაზღვეული იყოს ყველა ან თითოეული ცალკე ჩამოთვლილი, ან რამდენიმე კომბინაციისაგან შემდგარი რისკ(ებ)ისაგან, რომლებიც მითითებული იქნება სადაზღვევო პოლისში. ამასთან, რისკების ნებისმიერი კომბინაცია უნდა შეიცავდეს ხანძრის რისკისაგან დაზღვევას.

4.3. სადაზღვევო თანხა მიეთითება წინამდებარე ხელშეკრულება / პირობების საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლისით და მისი დადგენა ხდება მხარეთა შეთანხმებით. სადაზღვევო თანხის ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ქონების რეალურ ღირებულებას სადაზღვევო პოლისის გაცემის თარიღისათვის. მხარეებს არ შეუძლიათ იდავონ ქონების სადაზღვევო ღირებულების თაობაზე, რომელიც დადგინდა პოლისის გაცემისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მზღვეველი დაამტკიცებს დამზღვევის მიერ მის განზრახ შეცდომაში შეყვანას.

4.4. სადაზღვევო თანხის ობიექტის რეალურ ღირებულებასთან შესაბამისობის დადგენა ხდება თითოეული დაზღვეული ობიექტისათვის ცალ-ცალკე ან სადაზღვევო ხელშეკრულებაში მითითებული ყველა ობიექტისათვის ჯამურად. თუ სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო თანხა აჭარბებს ქონების რეალურ ღირებულებას, ხელშეკრულება კანონით ითვლება ბათილად სადაზღვევო თანხის იმ ნაწილში, რომელიც აჭარბებს ქონების რეალურ ღირებულებას.

4.5. სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმების ძირითადი საფუძვლები:

4.5.1. ქონების დაზღვევის წერილობითი განაცხადი-ანკეტა (შევსებული და დამოწმებული დამზღვევის მიერ მზღვეველის მიერ შემუშავებული ფორმის შესაბამისად);

4.5.2. მზღვეველის მიერ შედგენილი დასაზღვევო ქონების დათვალიერების ოქმი (მზღვეველის მიერ აღნიშნული ქმედების განხორციელების შემთხვევაში);

4.5.3. ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ სადაზღვევო რისკის შეფასებასა და დაზღვევის სხვა პირობებზე. მზღვეველის გადაწყვეტილებით აღნიშნული ჩამონათვალი შეიძლება გაიზარდოს, შემცირდეს ან/და დაზუსტდეს.

4.5.4. თუ დასაზღვევი/დაზღვეული ქონება რაიმე ვალდებულების უზუნველყოფის საშუალებაა, დამზღვევმა ამის შესახებ აუცილებლად უნდა აცნობოს მზღვეველს და წარუდგინოს შესაბამისი ხელშეკრულების ასლი.

5. ტერიტორიული ფარგლები

წინამდებარე ხელშეკრულება/პირობების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევის მოქმედების ტერიტორიული ფარგლები, რომელიც მითითებულია შესაბამის სადაზღვევო პოლისში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია:

6.1.1. წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულება/პირობების ხელის მოწერისთანავე გადაიხადოს სადაზღვევო პრემია ან/და სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული მისი ნაწილი;

6.1.2. უზრუნველყოს მზღვეველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ქონების დათვალიერება (რაც ჩაიწერება სადაზღვევო განაცხადში). დათვალიერების დასრულებამდე მზღვეველი არ გასცემს სადაზღვევო პოლისს და თავისუფალია თავისი ვალდებულებებისგან;

6.1.3. პოლისის გაცემამდე გააცნოს მზღვეველს ყველა მისთვის ცნობილი გარემოება, რომელთაც მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო რისკის შეფასებისას, აგრეთვე, ამ ქონებასთან დაკავშირებული ყველა დადებული ან დასადები სადაზღვევო ხელშეკრულება;

6.1.4. უზრუნველყოს მზღვეველი სადაზღვევო პოლისის გაცემისათვის აუცილებელი მონაცემებით/ინფორმაციით, მათ შორის მიაწოდოს მზღვეველს ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებში/ინფორმაციაში ცვლილებების შესახებ, ცვლილებების განხორციელებიდან არაუგვენეს სამი სამუშაო დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს ზიანი, რომელიც გამოწვეულია მზღვეველისათვის შეუტყობინებელი გარემოებების შედეგად;

6.1.5. წინამდებარე ხელშეკრულება/პირობებით გათვალისწინებული დაზღვევის მოქმედების პერიოდში სამი სამუშაო დღის ვადაში შეატყობინოს მზღვეველს ყველა იმ ცვლილების შესახებ, რომელიც ზრდის რისკის ზომას ან ხარისხს. ამ შემთხვევაში მზღვეველს აქვს უფლება მოსთხოვოს დამზღვევს დამატებითი სადაზღვევო შესატანის გადახდა. დამატებით გადახდაზე დამზღვევის

მიერ უარის თქმა მზღვეველს აძლევს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება რისკის გაზრდისთანავე.

6.1.6. წინამდებარე ხელშეკრულება/პირობებით გათვალისწინებული დაზღვევის მოქმედების პერიოდში დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში შეატყობინოს მზღვეველს შემდეგი გარემოებების შესახებ:

6.1.6.1. შეწყდა დაზღვეულის სადაზღვევო ინტერესი;

6.1.6.2. დაზღვეული შენობა, მისი ნებისმიერი ნაწილი ან სხვა სახის ქონება მიტოვებულია 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში.

6.1.7. მიიღოს აუცილებელი ზომები დაზღვეული ქონების დაღუპვის თავიდან აცილების და შესაძლო ზარალის შემცირების მიზნით. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაუყოვნებლივ მიიღოს ყველა შესაძლო ზომა ქონების გადარჩენის და მისი შემდგომი დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, აგრეთვე აღმოფხვრას მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობენ დამატებითი ზარალის წარმოშობას.

6.1.8. ხანძრის, ქონების ან მისი ნაწილების ძარცვის შემთხვევაში, აგრეთვე, ზიანის გამომწვევი პირის (ვისი მიზეზითაც წარმოიშვა სადაზღვევო შემთხვევა) შესახებ ინფორმაციის ფლობისას, დაუყოვნებლივ შეატყობინოს შესაბამის ორგანოებს (შსს, სახანძრო სამსახური და ა.შ.) ამის შესახებ.

6.1.9. არაუგვიანეს 72 საათის განმალობაში შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ.

6.1.10. მიაწოდოს მზღვეველს წერილობითი განცხადება სადაზღვევო ანაზღაურებაზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს წარმოშობილი ზარალის ყველა გარემოება და მიზეზი, აგრეთვე წარუდგინოს დოკუმენტები კომპეტენტური ორგანოებიდან, რომლებშიც დადასტურებულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტი, მიზეზები და ზარალის ზომა.

6.1.11. წარუდგინოს მზღვეველს განადგურებული, დაზიანებული ან დაკარგული დაზღვეული ობიექტების ნუსხა.

6.1.12. უზრუნველყოს მზღვეველი შესაძლებლობით განახორციელოს ზარალის მიმყენებლის მიმართ რეგრესიული მოთხოვნების განხორციელების შესაძლებლობებით.

6.1.13. წარუდგინოს მზღვეველს დაზიანებული ქონება მის რემონტამდე ან დაზიანებული ქონების ნარჩენები, აგრეთვე დაზიანებული ნაწილები, დეტალები და ა.შ.

6.1.14. განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული სხვა ქმედება.

6.1.15. შეატყობინოს დაზღვეულს (მოსარგებლეს), (თუ დამზღვევი და დაზღვეული (მოსარგებლე) სხვადასხვა პირები არიან) თავისი გადაწყვეტილება დააზღვიოს მისი ქონება დაზღვევის ობიექტის ზუსტი განსაზღვრით და წარუდგინოს მზღვეველს შესაბამისი დოკუმენტები.

6.1.16. თუ დამზღვევი და დაზღვეული ერთი პირია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს ქონების მფლობელის ან ქონებით მოსარგებლის შეცვლის შესახებ.

6.1.17. ყველა ცნობის მიწოდება, რომელიც წინამდებარე პირობებით არის გათვალისწინებული, ხდება დამზღვევის მიერ წერილობითი ფორმით ან კავშირის ისეთი საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს გადაცემული ცნობის ფიქსირებას ან გადაეცემა მზღვეველს მისი მიღების ხელმოწერის დადასტურებით;

6.1.18. თუკი დამზღვევის მიერ სადაზღვევო პოლისის შეძენა ხდება მესამე პირის – მოსარგებლის სასარგებლოდ, დამზღვევი ვალდებულია, წარმოადგინოს დაზღვეული ქონებისადმი მისი ინტერესის განმსაზღვრელი დოკუმენტი.

6.1.19. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული დამზღვევის ვალდებულებები, თანაბარი ზომით ვრცელდება დაზღვეულზე და მოსარგებელზე. მის მიერ ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს იგივე შედეგებს, რაც დამზღვევის შემთხვევაში.

6.2. დამზღვევი/დაზღვეული (მოსარგებლე) უფლებამოსილია:

6.2.1. სადაზღვევო პოლისის დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში მოთხოვოს მზღვეველს სადაზღვევო პოლისის განსაკუთრებული წარმოების წესით ძალადაკარგულად გამოცხადება ან მისი ასლის გაცემა.

6.2.2. მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

6.2.3. მოსარგებლეს უფლება აქვს უარი თქვას მისი კუთვნილი სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაზე. ასეთ შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლება გადადის დამზღვევზე;

6.2.4. მიიღოს ინფორმაცია სადაზღვევო პოლისის პირობების თაობაზე.

6.3. მზღვეველი ვალდებულია:

6.3.1. გააცნოს დამზღვევს წინამდებარე დაზღვევის პირობები;
6.3.2. სადაზღვევო პრემიის ან/და მისი პირველი შენატანის გადახდისთანავე დამზღვევზე გასცეს სადაზღვევო პოლისი;
6.3.3. სადაზღვევო პოლისის, დამზღვევის მიერ დასაბუთებული და მტკიცებულებებით დადასტურებული საპრეტენზიო განაცხადის ან/და მზღვეველის მოთხოვნით ყველა საჭირო დოკუმენტაციის (მათ შორის სხვა ხელშეკრულებების შესახებ, სადაც ამ პირობებით დაზღვეული ქონება ან მისი ნაწილი წარმოადგენს დაზღვევის ობიექტს) წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება;
6.3.4. გადაწყვეტილების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში დამზღვევზე გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ან მოტივირებული უარი (პატივსადები მიზეზების არსებობის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია, გაზარდოს ამ პუნქტითა და 6.3.3. პუნქტით განსაზღვრული ვადა);
6.3.5. აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მისი წერილობითი მითითებების შესრულებით გამოწვეული მასთან წერილობით შეთანხმებული ხარჯები;
6.3.6. აანაზღაუროს ის ხარჯები, რომლებიც მისი მითითებით (ინსტრუქციით) იქნა გაღებული. ამ ხარჯების ანაზღაურება ხდება სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხის ფარგლებში, ფრანშიზის გათვალისწინებით.
6.3.7. აანაზღაუროს მხოლოდ ის ზიანი რომელიც ქონებას მიადგა წინამდებარე ხელშეკრულებით და/ან შესაბამისი სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში;
6.3.8. კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, არ გაამჟღავნოს მონაცემები დამზღვევსა/დაზღვეულსა და მის ქონებრივ მდგომარეობაზე.

6.4. მზღვეველი უფლებამოსილია:

6.4.1. დაზღვევის ხელშეკრულების დადებამდე მოახდინოს დასაზღვევი ქონების დათვალიერება რისკის შეფასების მიზნით;
6.4.2. მონაწილეობა მიიღოს შემთხვევის (ზიანის) მიზეზების დადგენასა და ზარალის სიდიდის შეფასებაში, მოსთხოვოს ხელშეწყობა დამზღვევს ან დაზღვეულს;
6.4.3. თუ დამზღვევის, დაზღვეულისა ან მოსარგებლისათვის ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში გაირკვა, რომ სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეული იყო მესამე პირის ქმედებით, გამოიყენოს რეგრესის წესი და მოთხოვოს ანაზღაურება გაცემული თანხის ფარგლებში;
6.4.4. თუ დამზღვევის (დაზღვეულის, მოსარგელის) ბრალით მზღვეველის მიერ რეგრესის წესის გამოყენება შეუძლებელი გახდა, მოითხოვოს გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების უკან დაბრუნება;
6.4.5. გააუქმოს სადაზღვევო პოლისი და შესთავაზოს დამზღვევს შეცვლილი პირობებით პოლისის მიღება, თუ შეიცვალა ქონების ექსპლუატაციის პირობები;
6.4.6. გააუქმოს სადაზღვევო პოლისი და ამის თაობაზე წერილობით შეატყობინოს დამზღვევს, თუ ქონების დაზღვევის განაცხადში აღნიშნული მონაცემები არ შეესაბამება სინამდვილეს;
6.4.7. გაგზავნოს შესაბამისი შეკითხვები კომპეტენტურ ორგანოებში;
6.4.8. შევიდეს, დაათვალიეროს ის ქონება ან შენობა სადაც დადგა ზარალი და განახორციელოს ყველანაირი ქმედება, რასაც ჩათვლის საჭიროდ ზიანის შემცირებისათვის ან დაზიანებული ქონების მდგომარეობის შესანარჩუნებლად;
6.4.9. მოითხოვოს ზარალის დადგომის დროს, დაზღვეულ შენობებში არსებული ქონების, გადატანა, ან მათი შენახვა;
6.4.10. შეინახოს ასეთი ქონება და შეისწავლოს, დაახარისხოს, წესრგიში მოიყვანოს და ა.შ;
6.4.11. შეადგინოს ქონების აღდგენა-შეკეთების ღირებულების კალკულაცია (ნუსხა), დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე;
6.4.12. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის მიერ ქონების დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებათა შეუსურულებლობისას.
6.4.13. გადაავადოს ანაზღაურების გაცემა იმ შემთხვევაში თუ:
- ტარდება დამოუკიდებელი ექსპერტიზა სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, გარემოებებისა და ზარალის მოცულობის შესახებ. ამასთან, სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვადა იზრდება ექსპერტიზისათვის საჭირო დროის პერიოდით;
- არსებობს საფუძვლიანი ეჭვი თქვენი ან მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებამოსილებაში. სადაზღვევო ანაზღაურება არ გადაიხდება, ვიდრე არ იქნება წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები;
- შსს ორგანოების მიერ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სადაზღვევო შემთხვევაზე, დაზღვეულის/მოსარგებლის მიმართ – გამოძიების დასრულებამდე.

7. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის წესები და პირობები

7.1. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა ხორციელდება სადაზღვევო პოლისის, წინამდებარე პირობების, ზარალის ანაზღაურების თაობაზე დამზღვევის (მოსარგებლის) წერილობითი განაცხადის, შემთხვევის დადგომის დამამტკიცებელი დოკუმენტაციის, ანაზღაურების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებისა და დამდგარი ზიანის გაანგარიშების საფუძველზე. ასევე გონივრულ ფარგლებში მზღვეველის მიერ დამადებით განსაზღვრული/მოთხოვნილი ინფორმაციის და/ან დოკუმენტაციის საფუძველზე.

7.2. ზარალად განიხილება მხოლოდ სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული რიკსების დადგომის შედეგად დაზღვეული ქონებისათვის მიყენებული ზიანი.

7.3. ზარალის სიდიდე განისაზღვრება მზღვეველის მიერ, დაზღვეული ობიექტის დათვალიერების და კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული საბუთების საფუძველზე (საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის, ბუნების დაცვის, საქართველოს სახანძრო დეპარტამენტის, საავარიო სამსახურების, პოლიციის, საგამოძიებო ორგანოების, სასამართლოს და სხვა.) შემდეგნაირად:

7.3.1. ქონების გატაცების შემთხვევაში – შემთხვევის დადგომის მომენტისათვის მისი რეალური ღირებულების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა;

7.3.2. ქონების დაზიანების შემთხვევაში – ქონების დაზიანებული ნაწილის აღდგენითი ან შენაცვლებითი ღირებულების ოდენობით. თუ ზიანის დადგომის დროისთვის დაზღვეული ქონების ან მისი რომელიმე ნაწილის აღდგენითი ან შენაცვლებითი ღირებულება სადაზღვევო პოლისში აღნიშნულზე უფრო მეტი აღმოჩნდება, ასანაზღაურებელი ზიანის თანხა შემცირდება ასეთივე პროპორციით, როგორსაც შეადგენს სადაზღვევო თანხა ქონების აღდგენით (შენაცვლებით) ღირებულებასთან.

7.4. საჭიროების შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია გამოითხოვოს ცნობები სამართალდამცავი ორგანოებისა და სხვა ორგანიზაციებიდან, რომლებსაც გააჩნიათ ინფორმაცია შემთხვევის გარემოებების თაობაზე; მას აგრეთვე უფლება აქვს თავად გამოიკვლიოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მიზეზები და გარემოებები.

7.5. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით ზარალის ოდენობის დადგენა შეიძლება განხორციელდეს დამოუკიდებელი ექსპერტიზის მეშვეობით, ექსპერტის მომსახურების ღირებულების მისი დამნიშნავი მხარის მიერ გადახდის პირობით.

7.6. გაანგარიშებაში ჩაითვლება მხოლოდ სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ხარჯები. ამასთან, ქონების დაზიანებული ნაწილების დეტალებისა და მოწყობილობების შეცვლის ღირებულება ჩაითვლება მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი შეკეთების გზით ვერ მოიყვანება შემდგომი გამოყენებისათვის ვარგის მდგომარეობაში.

7.7. ქონების აღდგენის დანახარჯებში ჩაითვლება:

7.7.1. აღსადგენად აუცილებელი მასალებისა და სათადარიგო ნაწილების შესაძენი ხარჯები, გამომდინარე მათი ღირებულებიდან სადაზღვევო პოლისის გაცემის მომენტისათვის;

7.7.2. აღსადგენად გაწეული სამუშაოების ანაზღაურების ხარჯები;

7.8. ქონების აღდგენის დანახარჯებში არ ჩაითვლება:

7.8.1. ქონების ტექნიკური მომსახურებისა და საგარანტიო შეკეთების ღირებულება;

7.8.2. ქონების რეკონსტრუქციასთან ან მის გადაიარაღებასთან მისი ცალკეული ნაწილების დეტალებისა და მოწყობილობების, მათი გაცვეთის, ტექნიკური წუნისა და ა.შ. გამო შეკეთებასთან ან შეცვლასთან დაკავშირებული სამუშაოების ღირებულება;

7.8.3. ამა თუ იმ ნაწილების დეტალებისა და მოწყობილობების შეცვლის (მათი შეკეთების ნაცვლად) სამუშაოების ღირებულება, რაც გამოწვეული იყო საწარმოებში მათი შეკეთებისათვის აუცილებელი ცალკეული სათადარიგო ნაწილებისა და დეტალების არქონით.

7.9. დამატებით დანახარჯებს, გამოწვეულს დაზღვეული ობიექტის ცვლილებით ან გაუმჯობესებით.

7.10. აღდგენითი სამუშაოებისას, დანახარჯებიდან გამოიქვითება რემონტის პროცესში გამოსაცვლელი დეტალების, აგრეგატების და ნაწილების ცვეთა. გამოქვითვის გაანგარიშება ხდება რეალური ღირებულებიდან სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დღისათვის და მსგავსი ახალი ნაწილების ფასებიდან გამომდინარე.

7.11. იმ შემთხვევაში, როდესაც ობიექტის შეკეთებისას (აღდგენისას) აღმოჩნდება სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ფარული დეფექტები, ასეთი დაზიანებისათვის სადაზღვევო ანაზღაურების გადასახდელად დამზღვევმა შეკეთების პროცესში უნდა მიმართოს მზღვეველს შესაბამისი განცხადებით. მზღვეველი მოვალეა შეადგინოს ახალი გაანგარიშება, დაადგინოს ზარალის ზომა და განახორციელოს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა აღმოჩენილი დეფექტებისათვის წინამდებარე პირობებით დადგენილი წესითა და ვადებში.

7.12. ჯამური სადაზღვევო ანაზღაურება ყველა სადაზღვევო შემთხვევაზე გადაიხდება მოცემული ქონებისათვის პოლისით დადგენილი სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

7.13. თუ სადაზღვევო თანხა ნაკლებია ქონების რეალურ (საბაზრო) ღირებულებაზე (მაგალითად: იპოთეკით დატვირთული ქონების დაზღვევისას), სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზარალის თანხა ანაზღაურდება იმ პროპორციით, რა პროპორციასაც შეადგენს სადაზღვევო თანხა ქონების რეალურ (საბაზრო) ღირებულებასთან.

7.14. სადაზღვევო ანაზღაურება გადაიხდება მზღვეველის მიერ უნაღდო ანგარიშსწორებით ან სხვა, კანონმდებლობით დაშვებული, წესითა და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

7.15. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ სადაზღვევო თანხა მცირდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დღიდან გადახდილი ანაზღაურების სიდიდით.

7.16. დაზღვეული ქონების აღდგენის ან ჩანაცვლების შემთხვევაში დამზღვევს უფლება აქვს მზღვეველის თანხმობის შემთხვევაში დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდით აღადგინოს საწყისი სადაზღვევო თანხა.

7.17. სადაზღვევო პოლისით შეიძლება გათვალისწინებული იყოს შემთხვევები, რომლის დროსაც დამზღვევს უფლება აქვს უარი თქვას დაზღვეული ქონების მიმართ თავის უფლებებზე მზღვეველის სასარგებლოდ, მისგან სრული სადაზღვევო თანხის მიღების მიზნით (გააკეთოს განცხადება აბანდონის თაობაზე).

7.18. სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზარალის ლიკვიდაციისა და ქონების აღდგენის (შეკეთების) შემდეგ დამზღვევი მოვალეა წარუდგინოს ქონება მზღვეველს. წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველს მისი განმეორებით დაზიანებისათვის პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

7.19. თუ დამზღვევს სადაზღვევო ანაზღაურების მიღების შემდეგ დაუბრუნდა გატაცებული ქონება ან აუნაზღაურდა ზარალი ამ ზარალისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ, იგი მოვალეა დაუბრუნოს მზღვეველს მიღებული სადაზღვევო ანაზღაურება, ქონების აღდგენაზე (შეკეთებაზე) გაწეული ხარჯების გამოკლებით.

7.20. იმ შემთხვევაში, როდესაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ამ პოლისით დაზღვეული ქონების მიმართ მოქმედებდა სხვა ხელშეკრულებებიც, სადაზღვევო ანაზღაურება გადაიხდება იმ სადაზღვევო თანხების პროპორციულად, რომლებითაც დააზღვია ეს ქონება თითოეულმა მზღვეველმა.

7.21. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან დაკავშირებულ ფაქტებზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, ან დაწყებულია სასამართლო პროცესი, მზღვეველის მიერ გადახდის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება შეიძლება გადავადებულ იქნას გამოძიების ან სასამართლო გარჩევის დამთავრებამდე.

7.22. სადაზღვევო ანაზღაურების ერთ თვეზე მეტი ვადით დაყოვნების შემთხვევაში მზღვეველი ვალდებულია დამზღვევის სასარგებლოდ გადაიხადოს პირგასამტეხლო ასანაზღაურებელი თანხის 0.1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8. გამონაკლისები

მზღვეველი არ აანაზღაურებს იმ ზარალს, რომლის მიზეზია:

8.1. ყველა სახის საომარი მოქმედება (მიუხედავად ომის გამოცხადებისა თუ გამოუცხადებლობისა), სამოქალაქო მღელვარება, მასობრივი არეულობა, გაფიცვა, სამხედრო გადატრიალება ან სახალხო აჯანყება, რევოლუცია, სამხედრო ან უზურპირებული ხელისუფლება, სახედრო ან საგანგებო მდგომარეობა ან სხვა ნებისმიერი მოვლენა ან გარემოება, რის გამოც ცხადდება ან გამოცხადებულია სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობა, კონფისკაცია, რეკვიზიცია, დაპატიმრება;

8.2. ბირთვული აფეთქება, რადიოაქტიური დაბინძურება;

8.3. სამხედრო ან სამოქალაქო ხელისუფლების განკარგულებით ქონების განადგურება ან დაზიანება;

8.4. დამზღვევის ან მოსარგებლის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ იყო მიმართული სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გამოსაწვევად;

8.5. დამზღვევის ან მოსარგებლის დანაშაულის განზრახ ჩადენა, რომელიც პირდაპირ მიზეზობრივ კავშირშია სადაზღვევო შემთხვევასთან;

8.6. დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის სადაზღვევო ობიექტის შესახებ მისთვის წინასწარი შეცნობით მცდარი ინფორმაციის მოწოდება;

8.7. დაზღვეული ქონების დეფექტები და ნაკლოვანებები, რომლებიც დამზღვევისთვის ცნობილი იყო სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე;

8.8. დაზღვეული ქონების იჯარის ან ქირავნობის ხელშეკრულებით, აგრეთვე სასწავლო, კვლევითი, კომერციული ან სასპორტო მიზნებით გამოყენება მზღვეველთან შეთანხმების გარეშე;

8.9. ნებისმიერი სახის მოწყობილობის ან დანადგარის ელექტრული დაზიანება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არის გამოწვეული მოკლე ჩართვით ან დენის ცვალებადობით, ეს გამონაკლისი არ ეხება ამ შემთხვევით გამოწვეულ ხანძარს;

8.10. თვითმფრინავის ან სხვა საჰაერო ტრანსპორტის ბგერითი ან ზებგერითი სიჩქარის ფრენისას წარმოშობილი წნევის ტალღები;

8.11. კანონმდებლობით განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაუცველობა(თუ ეს კანონმდებლობით არის გათვალისწინებული);

8.12. სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა:

- თუ დამზღვევმა არ განაცხადა მომხდარის შესახებ კომპეტენტურ ორგანოებში, შემთხვევა კი ამას მოითხოვდა, ან შემთხვევის ფაქტი კომპეტენტური ორგანოების მიერ არ დადასტურდა;
- თუ დამზღვევმა, ჰქონდა რა ამის საშუალება, განსაზღვრულ ვადაში, წერილობით არ განუცხადა მზღვეველს ზიანის დადგომის შესახებ, ან თუ მის მიერ მითითებული ფაქტები სწორი არაა ან არ მიაწოდა სრულად მის ხელთ არსებული ინფორმაცია;
- თუ დამზღვევმა შემთხვევის დადგომამდე არ განუცხადა მზღვეველს ქონების ექსპლუატაციის პირობების შეცვლის შესახებ ან ქონების დაზღვევის განაცხადში მითითებული მონაცემები სინამდვილეს არ შეესაბამება;
- კანონმდებლობით ან/და ამ პირობებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

9. დაზღვევის მოქმედების ვადა

9.1. დაზღვევის მოქმედების ვადა, არა უმეტეს ერთი წლისა, განისაზღვრება სადაზღვევო პოლისით.

9.2. სადაზღვევო პოლისი ძალაში შედის დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის ერთჯერადი ან პირველი სადაზღვევო შესატანის გადახდის მომენტიდან.

9.3. დაზღვევის მოქმედება იწყება პოლისის გაცემის დღის 24:00 საათიდან და მთავრდება პოლისში მითითებული დაზღვევის დასრულების დღის 24:00 საათზე.

9.4. დაზღვევა შეწყდება:
- მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;
- ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლის შედეგად;
- სადაზღვევო თანხის ამოწურვის შედეგად;
- სადაზღვევო ინტერესის შეწყვეტის შემთხვევაში;
- თუ დაზღვეულმა ობიექტმა შეწყვიტა თავისი არსებობა სადაზღვევო შემთხვევისაგან განსხვავებული მიზეზით;
- მხარის გარდაცვალების შემთხვევაში.

9.5. დამზღვევის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში იგი ვალდებულია შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე ერთი თვით ადრე წარუდგინოს განცხადება მზღვეველს; ასეთ შემთხვევაში სადაზღვევო პრემიის ანაზღაურება მოხდება რისკის დაფარვის დროის მიხედვით, სადაც არასრული თვე ჩაითვლება სრულად;

9.6. დაზღვევის პროლონგაცია შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით. მზღვეველი უფლებამოსილია უარი თქვას დაზღვევის პროლონგაციაზე (ვადის გაგრძელებაზე) ან შეცვალოს სადაზღვევო პრემია და პირობები შემდეგ შემთხვევებში:
- გასულ სადაზღვევო წელს ზარალიანობის მაღალი მაჩვენებელი;
- რისკის გაზრდა;
- სადაზღვევო ბაზარზე ფასების ცვლილება.

10. სადაზღვევო პრემია. ანგარიშსწორების წესი

10.1. სადაზღვევო პრემია არის სადაზღვევო პოლისში მითითებული დამზღვევის მიერ ერთჯერადად ან მზღვეველთან შეთანხმებული გრაფიკით ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით გადასახდელი დაზღვევის საფასური სადაზღვევო დაფარვის უზრუნველყოფისათვის;

10.2. სადაზღვევო პრემიის ოდენობა დგინდება მზღვეველის მიერ დაზღვევის ობიექტის სახეობის, მისი ღირებულების, რისკის ხარისხისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით;

10.3. სადაზღვევო პრემიის ან/და მისი ნაწილის დროულად და დადგენილი ოდენობით გადახდის ვალდებულება ეკისრება დამზღვევს;

10.4. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში რისკის გაზრდის შემთხვევაში სადაზღვევო პრემია შეიძლება გაიზარდოს;

10.5. დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის ან მისი ნაწილის გადახდა ხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, ამ პირობების ხელმოწერისთანავე მზღვეველის წარმომადგენლობაში, რაზედაც გაიცემა თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, ან/და მზღვეველის მიერ მითითებულ ანგარიშზე გადარიცხვით (უნაღდო ანგარიშსწორება).

10.6. სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის დამზღვევის მიერ, დადგენილი წესით, გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.7. პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში, სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ქონების სრული განადგურებისას გასაცემ სადაზღვევო ანაზღაურებას აკლდება ის თანხა, რომელიც დამზღვევს განვადების პირობების მიხედვით, დარჩენილ პერიოდში აქვს გადასახდელი. ხოლო ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში სადაზღვევო პრემიის არსებული დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ამ პუნქტის საფუძველზე ჩათვლილი თანხები ჩაითვლება გადახდილი სადაზღვევო პრემიის ოდენობაში;

10.8. „დამზღვევის" მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის წესის დარღვევის შემთხვევაში „მზღვეველი" უფლებამოსილია შეაჩეროს სადაზღვევო მომსახურება „დამზღვევის" მიერ ფინანსური ვალდებულების სრულად შესრულებამდე. ამასთან, დავალიანების დაფარვის შემდეგ თუკი დავალიანების წარმოშობის დღისა და დაფარვას შორის პერიოდი აღემატება 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეს, „მზღვეველი" დავალიანების პერიოდიში დამდგარ შემთხვევებს აღარ განიხილავს სადაზღვევო შემთხვევებად და შესაბამისად უფლებამოსილია არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება;

10.9. სადაზღვევო პრემიის ერთჯერადად ანგარიშსწორებისას თუკი დაზღვევის მოქმედება წყდება ვადამდე, მზღვეველი იღებს ვალდებულებას, დაუბრუნოს დამზღვევს გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონკრეტული სადაზღვევო პოლისის ფარგლებში, რომლის გაუქმებაც ხდება ვადაზე ადრე, განვლილი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში გაცემული არ არის სადაზღვევო ანაზღაურება.

11. შეტყობინება და ინფორმაციული უზრუნველყოფა

11.1. მხარეთა მიერ ერთმანეთის დაუყოვნებელი ინფორმაციული უზრუნველყოფა ხდება ტელეფონის, ფაქსის ან/და კავშირის საყოველთაოდ აღიარებული სხვა საშუალებებით;

11.2. დაუყოვნებელი ინფორმაცია მიწოდებულად ჩაითვლება კონტრაგენტის ან/და ამ მიზნისათვის სპეციალურად უფლებამოსილი პირის ტელეფონის, ფაქსის ან/და კავშირის საყოველთაოდ აღიარებული სხვა საშუალებებით კონტაქტის დაფიქსირებით;

11.3. მხარეთა მიერ ერთმანეთის წერილობითი ინფორმაციული უზრუნველყოფა ხდება დაზღვეული წერილის ან/და წერილობითი დოკუმენტის კონტრაგენტისათვის ან/და ამ მიზნისათვის სპეციალურად უფლებამოსილი პირისათვის პირადად ჩაბარებით;

11.4. წერილობითი ინფორმაცია მიწოდებულად ჩაითვლება კონტრაგენტის ან/და ამ მიზნისათვის სპეციალურად უფლებამოსილი პირის სათანადო დოკუმენტზე ხელმოწერითა და დროის დაფიქსირებით;

11.5. სადაზღვევო პოლისის მიზნებისათვის დამზღვევის (მოსარგებლის, დაზღვეულის) მხრიდან საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის უფლებამოსილი პირის რეკვიზიტები მიეთითება განაცხადში;

11.6. სადაზღვევო პოლისის მიზნებისათვის მზღვეველის საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის გამოიყენება მისი წარმომადგენლობის ფაქტიური ადგილსამყოფელი ან/და „აისი ასისტანსის" სამსახური.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. სადაზღვევო პოლისთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაწყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

12.2. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მოსარჩელის შერჩევით დავას განიხილავს სასამართლო ან კერძო არბიტრაჟი - შპს „სამოქალაქო საქმეთა მუდმივმოქმედი არბიტრაჟი, რომლის მისამართია: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. №27, მე-2 სართული. დავას განიხილავს ერთი არბიტრი, რომელსაც ნიშნავს, «სამოქალაქო საქმეთა მუდმივმოქმედი არბიტრაჟი». .

13. განსაკუთრებული პირობები

13.1. „დამზღვევის" მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის წესის დარღვევის შემთხვევაში „მზღვეველი" უფლებამოსილია შეაჩეროს სადაზღვევო მომსახურება „დამზღვევის" მიერ ფინანსური ვალდებულების სრულად შესრულებამდე. ამასთან, დავალიანების დაფარვის შემდეგ თუკი დავალიანების წარმოშობის დღისა და დაფარვას შორის პერიოდი აღემატება 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეს, „მზღვეველი" დავალიანების პერიოდიში დამდგარ შემთხვევებს აღარ განიხილავს სადაზღვევო შემთხვევებად და შესაბამისად უფლებამოსილია არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება;

13.2. დამზღვევის ვალდებულებები თანაბრად ვრცელდება დაზღვეულზე ან/და მოსარგებელზე;

13.3. თუ დამზღვევის (დაზღვეულის, მოსარგებლის) ბრალით მზღვეველის მიერ რეგრესის წესის გამოყენება შეუძლებელი გახდა, მზღვეველს უკან უბრუნდება სადაზღვევო ანაზღაურება იმ პირისაგან, ვინც ის მიიღო ან/და მზღვეველს უფლება ექნება უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე;

13.4. მზღვეველის პასუხისმგებლობა შეზღუდულია სადაზღვევო თანხის ოდენობით, მიუხედავად სადაზღვევო პერიოდში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევების სიმრავლისა და მათი სიდიდისა;

13.5. თუ დამზღვევმა ან/და დაზღვეულმა განზრახ გამოიწვია სადაზღვევო რისკის გაზრდა, მზღვეველს შეუძლია გააუქმოს დაზღვევის პოლისი სადაზღვევო პრემიის დაბრუნების გარეშე, ყოველგვარი ვადის დაუცველად;

13.6. ამ პირობებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა უნდა გაფორმდეს წერილობით, რომელიც ძალაში შევა მხარეების ან ამისთვის უფლებამოსილი პირების მიერ მისი ხელმოწერისთანავე;

13.7. შესაბამისი წესით გაფორმებული ცვლილება ან/და დამატება თან ერთვის პირობებს და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს;

13.8. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობისას (ომი, სტიქიური უბედურება, მთავრობის აქტები ან/და სხვა ისეთი გარემოებანი, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა ნებაზე), მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით აცნობებენ ამის შესახებ ერთმანეთს; ასეთ შემთხვევაში ნაკისრი ვალდებულების შესრულება გადავადდება ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრამდე ან/და გამოსწორებამდე;

13.9. წინამდებარე ხელშეკრულებას დანართის სახით ახლავს დამზღვევის საიდენტიფიკაციო მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ასლი, იურიდული პირის შემთხვევაში ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის პირადობის დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ასლი და მინდობილობა თუკი ხელშეკრულებას ხელს აწერს მინდობილი პირი).